

ეროვნული შეჯიბრი საკონსტიტუციო სამართალში „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისათვის“

წესები

მუხლი 1 - შეჯიბრების მიზანი

ეროვნული შეჯიბრი საკონსტიტუციო სამართალში მიზნად ისახავს:

- საკონსტიტუციო სამართლის პოპულარიზაციას სტუდენტებს შორის;
- საკონსტიტუციო სამართლის სფეროში ცოდნის გაღრმავებას;
- საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების პოპულარიზაციას.

მუხლი 2 - შეჯიბრების ორგანიზება

2.1. შეჯიბრს ორგანიზებას უწევს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) მიერ დაფუძნებული იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი;

2.2. ფონდი პასუხისმგებელია შეჯიბრების ადმინისტრაციულ მხარეზე;

2.3. შეჯიბრის ფარგლებში საია იწვევს ექსპერტთა ჯგუფს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხდება:

- აპლიკაციების საფუძველზე გუნდების შერჩევა;
- შეჯიბრის კაზუსების მომზადება;

მუხლი 3 - შეჯიბრში მონაწილეობა

3.1. შეჯიბრში მონაწილეობის უფლება აქვთ იურიდიული ან საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის მე-2, მე-3 ან მე-4 კურსის სტუდენტებს;

3.2. შეჯიბრში მონაწილეობისთვის უნდა შეიქმნას ორკაციანი გუნდი. გუნდის წევრები უნდა წარმოადგენდნენ ერთ სასწავლო დაწესებულებას.

მუხლი 4 - შეჯიბრის ეტაპები

4.1. საია-ს იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი ავრცელებს ინფორმაციას შეჯიბრის ჩატარების თარიღებისა და წესების შესახებ; აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე დაინტერესებული გუნდები გადიან რეგისტრაციას;

4.2. შეჯიბრი შედგება სამი ეტაპისგან:

- რეგისტრაცია, როდესაც გუნდები ავსებენ განაცხადს და ამით გამოხატავენ შეჯიბრში მონაწილეობის სურვილს;
- შესარჩევი ეტაპი, როდესაც გუნდებმა უნდა მოამზადონ საკონსტიტუციო სარჩელი და სარჩელზე შესაგებელი სამართლებრივ კაზუსთან დაკავშირებით;
- შეჯიბრების ეტაპი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ შერჩეული გუნდები.

მუხლი 5 - შესარჩევი ეტაპი

5.1. გუნდებს, რომლებმაც გამოხატეს შეჯიბრში მონაწილეობის სურვილი და აკმაყოფილებენ შეჯიბრში მონაწილეობისათვის დადგენილ პირობებს, საია გადასცემს (ელ.ფოსტით საშუალებით უგზავნის) სამართლებრივ კაზუსს, რომლის საფუძველზეც გუნდები ამზადებენ საკონსტიტუციო სარჩელს და სარჩელზე შესაგებელს;

5.2. გუნდების მიერ მომზადებული სარჩელისა და შესაგებელის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი შეარჩევს რვა საუკეთესო გუნდს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ შეჯიბრში.

მუხლი 6 - შეჯიბრის წინა პერიოდი

6.1. შერჩეული გუნდები ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ შეჯიბრში;

6.2. შერჩეულ გუნდებს არაუგვიანეს ერთი კვირისა ეცნობებათ შეჯიბრის თარიღის შესახებ;

6.3. შეჯიბრამდე არაუგვიანეს ორი დღისა, გუნდები (როგორც პოტენციური ფინალისტები) იღებენ საფინალო კაზუსს.

მუხლი 7 – ეროვნული შეჯიბრი

7.1. ეროვნული შეჯიბრი გრძელდება 3 დღე;

7.2. შეჯიბრი შედგება შესარჩევი რაუნდებისა და ფინალისაგან;

7.3. შესარჩევ რაუნდზე გუნდები სიმულაციების ფორმით, ზეპირად წარმოდგენენ პოზიციებს იმ კაზუსის ირგვლივ, რომელზეც შესარჩევ ეტაპზე წერილობითი ფორმით წარმოდგენილი აქვთ საკონსტიტუციო სარჩელი და შესაგებელი;

7.4. შესარჩევი რაუნდების საფუძველზე, ჟიური შეარჩევს ორ საუკეთესო გუნდს.

7.5. შეჯიბრის ბოლო დღეს იმართება ფინალი, რომელშიც მონაწილეობას იღებს ორი საუკეთესო გუნდი. ფინალის მეშვეობით ვლინდება შეჯიბრში გამარჯვებული გუნდის ვინაობა.

მუხლი 8 – შეჯიბრის ჟიური

8.1. ჟიურის შემადგენლობაში შედის ექსპერტთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები, იურისტები და სპეციალისტები, რომლებიც მოღვაწეობენ საკონსტიტუციო სამართლისა და ადამიანის უფლებათა სფეროში.

8.2. ჟიურის წევრები წარმოდგენილი იქნებიან სასამართლო კოლეგიის სახით. ისინი შეაფასებენ კონკურსის მონაწილეებს, როგორც ინდივიდუალურად ასევე გუნდურად. ჟიური გამოავლენს საუკეთესო გუნდს ისევე როგორც ინდივიდუალურ მონაწილეებს სხვადასხვა საუკეთესო ნომინაციაში (საუკეთესო მოსარჩელე, საუკეთესო მოპასუხე და ა.შ).

მუხლი 9 – გუნდების შეფასების კრიტერიუმები

9.1. ჟიურის მიერ გუნდების შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- საკონსტიტუციო სამართლის ცოდნა;
- ადამიანის უფლებათა სამართლის ცოდნა;
- ანალიზისა და კრიტიკული აზროვნების უნარი;
- გუნდების ზოგადი მომზადება;
- გუნდური თამაში;
- შეჯიბრის პერიოდში დაკისრებული როლის წარმატებით შესრულება.

მუხლი 10 – შეჯიბრის ხარჯები

10.1 ფონდი შეჯიბრის მსვლელობისას დაფარავს მხოლოდ შემდეგ ხარჯებს:

- შერჩეული გუნდების მგზავრობის თანხას;
- შერჩეული გუნდების სასტუმროსა და კვების ხარჯებს;

10.2. ფონდი არ ფარავს მწვრთნელის ხარჯებს.